კურატორ ალენა რუსაკევიჩის თანამედროვე ხელოვნების კვლევითი პროექტები

ეკატერინა კენიგსბერგი

საკვანძო სიტყვები: *კურატორი, თანამედროვე ხელოვნება, კვლევითი პროექტი, ბელარუსის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*

XX-20 საუკუნის დასასრულს და 21-ე საუკუნის დასაწყისში კურატორული კვლევა ბელარუსში კურატორული საქმიანობის წამყვან სტრატეგიულ მიმართულებად იქცა. განვიხილოთ ახალგაზრდა ბელარუსი კურატორის, ალენა რუსაკევიჩის 2 პროექტი.

ალენა რუსაკევიჩის კვლევითი კურატორული პროექტი „ო-ს წიგნი" (2016-2017) აბსოლუტურად განსხვავდებოდა თანამედროვე ხელოვნების ჩვეული საგამოფენო პროექტებისგან. მისი ორიგინალური იდეა მდგომარეობდა შინაურ წრეში ხელოვანთა შეხვედრა-გამოფენების სერიის მოწყობაში. მონაწილეები კურატორმა შეარჩია - ახალგაზრდა ხელოვანები: მხატვარი-გრაფიკოსი ფიოდორ შურმელეი, მოქანდაკე პაველ ჭრაბენიკაუ და სცენოგრაფები სიარჰეი აშუხა და ეკატერინა შიმანოვიჩი, რომლებიც თავიანთ ბინებში მასპინძლობდნენ პროექტს. პროექტი მიზნად ისახავდა ხელოვანთა გარემოს შესწავლას, რომელიც ხშირად დამალულია უცხო თვალისთვის. კურატორის თანახმად, „სწორედ აქ ხდება გენიოსის იმიჯის რომანტიზაცია, რომლის ცხოვრება შედგება შემოქმედებითი იმპულსებისა და შთაგონების ძიებისგან, რასაც ჰარმონიულად ავსებს ხელოვანის იმიჯი, როცა იგი საღამოს შინ ბრუნდება და წვნიანს აცხელებს. და რადგან მხატვრის ბინა ხშირად მის სტუდიასაც წარმოადგენს, ჩვენ თვალწინ იშლება დაუსრულებელი თუ აქამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომები, კვლევები, სკეტჩები, სამუშაო ინსტრუმენტები და მასალები" (რუსაკევიჩი). პროექტის ჩანაფიქრის დეტალური განხილვისას გამოიკვეთა და გაფართოვდა კურატორული კონცეფციაც. მთავარი მიზანი მდგომარეობდა კურატორებს და მხატვრებს შორის უფრო აქტიური კომუნიკაციის პროცესის წახალისებაში, ხოლო ამოცანებში შედიოდა თითოეულ ასეთ შეხვედრაზე შემოქმედებითი საკითხების განხილვა და ხელოვნების კოლექტიური ნიმუშის შექმნა.[1]

კურატორული პროექტის „ო-ს წიგნი" პირველი შეხვედრა შედგა 2016 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, ფიოდორ შურმელეის ბინაში. ეს ბინა მკაცრადაა გაყოფილი პატარა პრივატულ ოთახად და ვრცელ გრაფიკულ სტუდიად, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე ოთახისგან შემდგარ გადაკეთებულ სივრცეს. ბინა განლაგებულია ახალ საცხოვრებელ კორპუსში მინსკის ძველი უბნის - გრიშევკას მომიჯნავედ, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს მოსკოვი-ბრესტი და ლიბაუ-რომნის სარკინიგზო ხაზების მომსახურე რკინიგზელთა დასახლებას. ეს საცხოვრებელი კორპუსი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესახლებული, ასევე აქტიურად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ხოლო ლიფტის კედლებზე, სამშენებლო მასალის გადაზიდვის მიზნით, გაკრულია ფანერები. ასე რომ, შეხვედრის თემას ლოგიკურად ეწოდა „მოძრავი სახლი". თავდაპირველი იდეა: ლიფტის დროებითი კედლების შეღებვა - შეიცვალა და, ამის ნაცვლად, თავად სახელოსნოში გაჩნდა „ლოზუნგების კედელი": ბინის პატრონისთვის განკუთვნილი როგორც სერიოზული, ისე სახუმარო სურვილები. კოლექტიური ხელოვნების მეორე სპონტანური ნიმუში წარმოადგენს „ლუბოკის" ტიპის პლაკატს ნახატებითა და სურვილებით ავტო-

1 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, p. 17-19.

რებისგან.

მეორე შეხვედრა შედგა 2016 წლის დეკემბრის მიწურულს, სცენოგრაფების - სიარჰეი აშუხას და ეკატერინა შიმანოვიჩის ბინა-სტუდიაში. როგორც ნამდვილმა თეატრის მხატვრებმა, მასპინძლებმა ერთ-ერთი ოთახი ნოსტალგიურ საახალწლო სივრცედ გადააკეთეს: ცოცხალი ნაძვის ხე, საახალწლო დეკორაციებით მორთული გრძელი მაგიდა, მოკაშკაშე გირლანდები და, რა თქმა უნდა, უცვლელი „ბედის ირონია, ანუ გაამოთ". ახალი წლის ღამე ასოცირებულია ზეიმთან. ჩვენც გამოვიყენეთ ერთ-ერთი სტუმრის საგვარეულო ნივთები: 1960-იანი წლების თოვლის ქალის კოსტიუმში გამოვაწყვეთ პროექტის კურატორი, ხოლო 1970-იანი წლების დათვის ნიღაბი ჩვენს მასპინძელ ქალბატონს მოვარგეთ. შედარებით ხანმოკლე ისტორიის მქონე თოვლის ბაბუის ქუდი და წვერი კი მოქანდაკე პაველ ჰრაბენიკაუს ამშვენებდა. მასპინძლებმა და სტუმრებმა თავიანთ კოსტიუმებს საახალწლო ელფერი შესძინეს. სამომავლო გეგმების სტანდარტული განხილვა გადაიზარდა 2017 წლის სამხატვრო კალენდრის კოლექტიურ შედგენაში. პროექტის მესამე შეხვედრა გაიმართა 2017 წლის თებერვალში, მოქანდაკე პაველ ჰრაბენიკაუს ბინაში. შინაურულ გარემოში განხილული იყო თანამედროვე ხელოვნების და კურატორული საქმიანობის ამჟამინდელი პრობლემები.

კურატორ ალენა რუსაკევიჩის გადაწყვეტილებით, განხორციელდა პროექტის დოკუმენტირება, რა მიზნითაც სავალდებულო ფოტოგადაღებას ყველა შეხვედრაზე დაემატა „ო-ს წიგნში" სამახსოვრო ჩანაწერის გაკეთება. „ო-ს წიგნი» წარმოადგენს როგორც ხელოვნების ნიმუშს, რადგან მასში შესულია ხელოვანთა ნამუშევრები: სახელდახელო მონახაზები და სკეტჩები, ისე პროექტის დოკუმენტაციას, რადგან მასში ასახულია ჩატარებული შეხვედრები, კურატორის კითხვებზე როგორც სერიოზული, ისე ირონიული პასუხები, ასევე ხელოვანთა სურვილები და იდეები.

რუსი არქიტექტორის და კურატორის, სერგეი სიტარის თანახმად, „თანამედროვე ხელოვნება წარმოადგენს კომუნიკაციის გადატანას სხვა ფორმატში" (Walter Benjamin's Christmas Tree, p. 44). ა. რუსაკევიჩის მიმდინარე პროექტი „ო-ს წიგნი" შეიძლება შევადაროთ მნიშვნელობათა ბორბლის მოძრაობას, რომელსაც კურატორები და მხატვრები ერთად ატრიალებენ, რათა შექმნან ერთობლივი ნამუშევრები, ასევე დასვან ახალი კითხვები და ერთად გასცენ მათ პასუხი.[2]

ალენა რუსაკევიჩის საგამოფენო პროექტში „აზრის ელემენტები" (2018 წელი) გაჟღერდა კოლექტიური ვიზუალური დღიურის ორიგინალური კურატორული იდეა. ეს დღიური ასახავს ხელოვანთა პირად გამოცდილებას. როგორც ფილოსოფიიდან ცნობილია, ელემენტი არის ნაწილი, რომელიც მსგავს ელემენტებთან ერთად შეადგენს მთლიანობას. გამოფენის კონტექსტში კი ელემენტებს წარმოადგენენ კურატორებისა და ხელოვანთა პრაქტიკა. აზრი არის ადამიანისთვის დამახასიათებელი პოლიმორფული აზროვნების შედეგი. ხელოვანის აზროვნების შედეგი არის ხელოვნების შემოქმედებითი ნიმუში, ხოლო კურატორის აზროვნების ნაყოფი შეიძლება იყოს იდეა, რომელსაც მივყავართ ერთ პროექტში რამდენიმე ხელოვნების ნიმუშის თავმოყრისკენ.

კურატორ ალენა რუსაკევიჩის იდეა კი მდგომარეობდა მკაფიო საპროექტო კონცეფციის ჩამოყალიბებაში ხელოვანთა ნამუშევრების გამოყენებით, რომლებიც ასახავენ შემოქმედთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. ახალგაზრდა კურატორისთვის არ არის იოლი პირადი ისტორიების მოზაიკური ფრაგმენტებისგან განზოგადებული ნარატივის შექმნა, ხელოვანის არსებობის ორდინარული თუ არაორდინარული ხასიათის წარმოჩენა არტისტული აქტის ფორმით, ასევე შემოქმედებითი ცნობიერის და შექმნის პროცესის საჯაროდ დეკონსტრუქცია. „კურატორმა, რომელიც უარს ამბობს თავისი ამოცანის დაყვანაზე ხელოვნების ნიმუშების ოდენ შეგროვებამდე და საგამოფენო სივრცეში მათ განთავსებამდე, უნდა დასახოს ამ სივრცის თემა და საბოლოო მიზნები და დააწესოს ამ მიზნების მიღწევის პირობები და ხასიათი, როგორც ეს მართებს ჯგუფური კვლევითი სამუშაოს ნებისმიერ ინიციატორს. მარტივად რომ ვთქვათ, როცა საქმე გვაქვს პროცედურულ და დემატერიალიზებულ ხელოვნებასთან, კურატორმა უნდა წამოაყენოს და კონცეფციის სახე მისცეს გარკვეულ იდეას, სამუშაო პრინციპს, რომელიც წაახალისებს ხელოვანებს

2 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, p. 202-205.

განსაკუთრებული პროექტების, როგორც მიმდინარე ზოგადი სამუშაოს ნაწილის, შექმნისკენ“, - აცხადებს ვიქტორ მიზიანო.[3]

2017 წლის მაისში ალენა რუსაკევიჩმა მიიწვია ხელოვანთა ჯგუფი, რომელთანაც მას უკვე ჰქონდა თანამშრომლობის გამოცდილება. კურატორის ჩანაფიქრით, ახალი პროექტის ფარგლებში ამ ჯგუფს ზაფხულის განმავლობაში უნდა ეწარმოებინა შემოქმედებითი დღიური. მედიუმის, ტექნიკის თუ მეთოდების არჩევაში არტისტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ. 2017 წლის შემოდგომაზე ისინი კვლავ შეიკრიბნენ. როგორც აღმოჩნდა, კურატორის რჩევები ყველა ხელოვანმა არ გაითვალისწინა და, შედეგად, „აზრის ელემენტების“ სახელით ცნობილ პროექტში (რომელიც 2018 წლის აპრილში გამოფენილი იყო ბელარუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის საგამოფენო დარბაზში „კოდექსი“) შევიდა მხოლოდ ტარას კუჩინსკი-პარავის და ეკატერინა კენიგსბერგის ნამუშევრები, რომლებიც შეესაბამებოდა კურატორის თავდაპირველ ჩანაფიქრს. ოდნავ მოგვიანებით, 2018 წელს, ეკატერინა კრისტოპიკმაც შეადგინა საკუთარი დღიური. კურატორისთვის იდეალურია, როცა ყველა ნამუშევარი კონკრეტულად მისი პროექტისთვის არის შექმნილი, თუმცა ეს იშვიათად ხდება. ასე რომ, ალენა რუსაკევიჩმა ამ პროექტისთვის შეარჩია სერგეი ანდრუშკევიჩის, სიარჰეი აშუხას, ელენა ვერსტაკის, იგორ კაშჩკურიევიჩის, ვიქტორ მაკურინის, იგორ სავჩენკოს, ვალერი სლაუკის, ილია პილატოვიჩის და კარინა შაიტორის მანამდე გამოუქვეყნებელი ნამუშევრები.

ბელარუსის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის საგამოფენო დარბაზ „კოდექსის“ თავისებურებებიდან გამომდინარე (მაღალი ჭერი, მასიური ფანჯრები და ფიქსირებული შიდა კედლები), გამოფენის ნაწილი ჩაფიქრებული იყო როგორც „გამოფენა გამოფენაში“. ხელოვანთათვის გამოყოფილი იყო სამი მხრიდან შემოღობილი სივრცე (ორი შიდა კედელი და სიღრმეში საყრდენი კედელი ფანჯრით), რომელიც მეოთხე მხრიდან უერთდებოდა საგამოფენო დარბაზს, სადაც მოეწყო მოცემული მხატვრის ინდივიდუალური გამოფენა.

იგორ კაშჩკურიევიჩის ბლოკში წარმოდგენილი იყო მისი ნამუშევრები სერიიდან „ცისფერი ალბომი“ (2000-2002 წლები): ცალ მხარეს წარწერებით დახუნძლული ფართო ფორმატის გრაფიკული ფურცლები კედლებზე იყო აღმართული, ხოლო ორივე მხარეს წარწერების მქონე ფურცლები დიაგონალურად ეკიდა, რის შედეგად შემოიფარგლა გამოფენის საზღვრები. თავად ცისფერი ალბომი, რომლის სახელიც ნამუშევართა სერიას ეწოდა, განთავსებული იყო მაღალ პლატფორმაზე. ცისფრით დაფარული A4 ფორმატის ალბომი წარმოადგენდა კნუტ ბეზერის სცენარის „მარგა ენგელი არ ნებდება“ მე-2 გამოცემის აკინძულ ამონაბეჭდს, რომლის საფუძველზე გერმანიაში გადაიღეს წარმატებული კომედიური სერიალი. ყველა ფურცელს ზედა ნაწილში ჰქონდა წარწერა სცენარის სათაურით, თარიღი (2000 წლის 4 აგვისტო) და ტექსტი გერმანულად. იგორ კაშჩკურიევიჩმა გადმოატრიალა ალბომი და გამოიყენა ფურცლების უკანა, ცარიელი მხარე შთაბეჭდილებების, სკეტჩების, იდეების და სხვათა გასაზიარებლად. იგორ კაშჩკურიევიჩის წარწერებში უხვად გვხვდება მახვილები - ერთგვარი მითითება კარიერის დასაწყისში ბერლინში გატარებულ წლებზე და მინიშნება გერმანულენოვან გარემოში კომუნიკაციის სირთულეზე. მართალია, მხატვართა სკეტჩების ალბომები იშვიათად აღწევს გამოფენამდე, მაგრამ იგორ კაშჩკურიევიჩის „ცისფერი ალბომი“ გამოფენის ყურადღების ცენტრში მოექცა.

შემდეგი „გამოფენა გამოფენაში“ მოიცავდა ტარას კუჩინსკი-პარავის სექციას საერთო სახელით „ორი თვე ჩემს ვაჟთან ერთად“. ეს ინსტალაციები ავტორმა შექმნა 2017 წლის ზაფხულში, სამი წლის შვილთან ერთად გატარებულ თვეებში. ეს ორიგინალური ხელნაკეთი ნამუშევრები წარმოადგენს პასუხს შვილის კითხვაზე გმირების შესახებ, თავად ავტორის მიერ შექმნილი თამაშების კრებულის „ურჩხულთა გამანადგურებელი“ დეტალურად და უხვად ილუსტრირებული თავებიდან. გამოფენაზე წარდგენილი იყო მხოლოდ 3 ინსტალაცია: მე-8 თავი - ხის რგოლებისა და ჯოხების ნაკრები შესაბამისი თამაშისთვის; მე-11 თავი - შვედური საველე თამაშისთვის - „კუბისთვის“ განკუთვნილი ხის ნივთები; მე-3 ინსტალაცია - შეღებილი, გეომეტრიულად დახაზული

3 Miziano, Five Lectures, 2015, p. 47.

ხის ფიცარი ღრიჭოებში ჩასმული, სპეციალურად ამ მიზნით შერჩეული კენჭებით „ფანორონას“ სახელით ცნობილი მეკობრეთა თამაშისთვის. სწორედ ამ უკანასკნელი ინსტალაციის დასახელება ეწოდა მთლიანად პროექტს. ამ მხატვრულ პროექტს საფუძვლად დაედო თამაშების მოგონების, წესების შედგენის, სათამაშო ნივთების შექმნის და გმირის თვისებების შეძენის და განვითარების ყოველდღიური პროცესი, რომელიც ბავშვს აყვარებს, როგორც ფანტასტიკურ, ისე რეალურ სამყაროს და მამასთან ერთად ასწავლის ყოველივე ახალს.

ეკატერინა კენიგსბერგის „გამოფენას გამოფენაში“ წარმოადგენდა „ფენომენთა დაფა“. კურატორმა პირდაპირი გაგებით შეასხა ხორცი ამ იდეას, ყოველდღიურად ქმნიდა რა ახალ ნამუშევარს - კოლაჟს ოდნავ მოყვითალო აკვარელის ქაღალდზე. თითოეული ნამუშევარი წარმოადგენს დღის მნიშვნელოვანი მოვლენის სერიოზულ ან იუმორისტულ დოკუმენტაციას, ზოგი კი - მეგობრების მიერ მოთხრობილი სიზმრებიდან ციტატების და 5 წლის ბიჭუნას სიტყვების ვიზუალიზაციას, მომხდარის ზედმიწევნით ილუსტრაციას. ამ სერიის 67-ივე ნამუშევარი (უკანა მხარეს დატანებული თარიღითა და სერიული ნომრით) მოთავსებული იყო ტილოში გახვეულ წაგრძელებულ მუყაოს ყუთში. ყუთის თავსახურზე გაკეთებული იყო წარწერა ლათინური ასოებით: „ფენომენების დაფა“, ხოლო ქვედა მხარეს მიწებებული იყო წარწერები ავტორის სახელით და სერიის შექმნის თარიღით. ყუთის თავისუფალ ზედაპირზე ფანქრით იყო წარწერილი ყველა ნამუშევრის სათაური. გამოფენაზე კი ფურცლების უმრავლესობა 2 მოპირდაპირე კედელზე თოკით იყო ჩამოკიდებული. ხის პატარა საკიდებზე მიმაგრებული ნამუშევრები აქეთ-იქით ირხეოდა ნაზი შეხებით და ფანჯრიდან თუ კარიდან შემოსული სიოს დაბერვაზე. შუაში, დიდი ზომის პლატფორმის თავზე დაგებულ გამჭვირვალე კილიტზე, ცალ-ცალკე იყო გამოფენილი ნამუშევრები. პლატფორმის ცენტრში კი იდგა ყუთი, რომელშიც დარჩენილი ნამუშევრები იყო მოთავსებული. სერიამ „ფენომენების დაფა“ დიდი მოწონება დაიმსახურა სტუმართა მხრიდან, რომლებიც თვალს ვერ სწყვეტდნენ კოლაჟებს და ცდილობდნენ ნამუშევრების ფარული მნიშვნელობის ამოცნობას.

იგორ სავჩენკომ წარადგინა 2 ტექსტუალური ნამუშევარი. „აკვიატებული მელოდია“ (2016 წელი) წარმოადგენდა ფრიდიეშ ვარადის (ციურიხის უნივერსიტეტი) მიერ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კიბერნეტიკის მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი აკვიატებული მელოდიის ფსიქოლოგიური ანალიზის (გამოიცა იმავე ინსტიტუტის მიერ 1963 წელს) საფუძველზე ჩატარებული 6-თვიანი ექსპერიმენტის კომპლექსურ-ფორმალურ აღწერას. ტექსტს ახლდა ხელით შედგენილი დიაგრამები (სავჩენკო). მეორე ნამუშევარი - „მწვანე ტალღა“ (2016 წელი) წარმოადგენდა რეინჰარდტ კრონის (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი) მიერ იმავე კონფერენციის ფარგლებში წაკითხულ ნაშრომს „შემეცნების მარშრუტების და მათი ოპტიმიზაციის გზების შესახებ“ (სავჩენკო). ტექსტებს შორის შეინიშნებოდა სტილისტური და კომპოზიციური მსგავსებები: გარკვევით გამოყვანილ პირველ აბზაცში მოცემული იყო კვლევის დაწყების მიზეზის, წინაპირობის აღწერა. ძირითადი ნაწილი სავსე იყო ფილოსოფიური მსჯელობით და ტექნიკური დეტალებით, რომლებსაც კიბერნეტიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში გაუცნობიერებელი მკითხველისთვის/დამთვალიერებლისთვის რთულად აღსაქმელი იქნებოდა. ეს კი გახლდათ ავტორის ერთგვარი კონცეპტუალური თამაში, როცა ტექსტების ავთენტურობა და მათი შემქმნელი მეცნიერების რეალურად არსებობა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მეორე მხრივ, ფრაზების ლოგიკური ბმა, ავტორის ხელმოწერა თითოეული ტექსტის ბოლოს და ნამუშევრების ჩარჩო გვაფიქრებს არა ავტორის მიერ შექმნილ და შეთავაზებულ რეალობაზე, არამედ შთაგონების წყაროებზე, რომელთაც ეფუძნება იგორ სავჩენკოს შემოქმედებითი სტრატეგიები.

ვალერი სლაუკის სწრაფად შესრულებული ნახატები, რომლებსაც იგი მუდმივად და თითქმის ავტომატურად ქმნის ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ამ მიზნისთვის გამოუდეგარ ზედაპირებზე, დიდი ხანია იქცა კოლექციონერთა სანუკვარ ნამუშევრებად. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ვალერი სლაუკის მიერ 2014-2018 წლებში A4 ფორმატის საწერ ფურცლებზე და მუყაოს საქაღალდეებზე ბურთულიანი ავტოკალმით და გელის კალმით შესრულებული სკეტჩები. ნამუშევრებს არ აერთიანებდა ესა თუ ის საზიარო თემა. როგორც წესი, ეს მხატვარი სიუჟეტს სპონტანურად

იგონებს, როგორც ირონიულ რეაქციას გარშემო მომხდარზე, როგორც წაკითხულზე დაკვირვების შედეგს, როგორც ჩანახატებს მიმდინარე გრავიურებისა თუ ილუსტრაციებისთვის.

სიარჰეი აშუხას შავ-თეთრი ნახატი „#11“ (2018 წელი) მოგვაგონებს შუა საუკუნეების შენობას. ეკატერინა კენიგსბერგის 2 უსათაურო ნამუშევარმა კი: ბუნდოვანმა, თითქოს ოქროს ბურუსში მოლივლივე მდინარის ნაპირმა და ნავმა პირველში და ასევე ოქროსფერ ფონზე წყლის დინების საწინააღმდეგოდ ჩაშვებულმა ხელმა მეორეში გამოიწვია ცხარე დებატები პროფესიონალ ფოტოგრაფებს შორის გადაღებისა და ბეჭდვის ტექნიკასთან დაკავშირებით. დამთვალიერებლები ამაოდ ცდილობდნენ ნამუშევრების ფოტოს და მათ ფონზე სელფის გადაღებას: ავტორის მიერ გამოყენებული ტექნიკის წყალობით, ნამუშევრები თვალისმომჭრელად ბზინავდა და ირეკლავდა ყველას და ყველაფერს გარშემო. კარინა შაიტორმა წარადგინა „1, 2, 3“ (2017 წელი, კერამიკა, მოუჭიქავი მხატვრობა): 3 მომცრო, მრგვალი, კვადრატულ ჩარჩოში ჩასმული შიშველი ფიგურა წითელ და თეთრ ტონებში. ელენა ვერსტაკის „ოთხშაბათი“ (2018 წელი) წარმოადგენს ქალის ფიგურის სიმბოლურ გამოსახულებას, გახვეულს ძაფში და მოთავსებულს სინათლისა და სიბნელის ზღურბლზე. ეს ნამუშევარი აღქმული იყო, როგორც გარემოებების წინაშე უძლურების სიმბოლო.[4]

ახალგაზრდა კურატორის, ალენა რუსაკევიჩის მიერ განხორციელებული პროექტები ამჟღავნებს ახალი თაობის ინტერესების ფართო სპექტრს, შემოქმედებით მიდგომებს და ინდივიდუალურ აზროვნებას, ასევე წარსულის მიღწევების უგულებელყოფის გარეშე სიახლის აღქმის და დროის გამოწვევებზე პასუხის გაცემის უნარს. ამ გამოფენებმა წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებასა და თანამშრომლობაში, ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერაში, ქვეყნის ისტორიული და კულტურული წარსულის მიმართ ინტერესის გაღვივებაში, კურატორებისა და ხელოვანთა პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციების განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Walter Benjamin’s Christmas Tree: An Exhibition Catalogue. Moscow: Grundrisse Publishers Ltd, 2014.
- Savchenko, Igor: http://igor-savchenko.com/frames.htm (19/04/2022)
- Kenigsberg, E. Curatorial Activity in the Contemporary Fine Art of Belarus in the Late 20th – Early 21st Centuries. Minsk: BSAA, 2020.
- Miziano, V. Five Lectures on Curating. Moscow: Ad Marginem Press, 2015.
- Rusakevich, A. Curatorial Project “The Book of O: http://allaprima.by/кураторский-проект-книга-о/. (19/04/2022)

4 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, pp. 165-172.

CONTEMPORARY ART RESEARCH PROJECTS OF THE CURATOR ALENA RUSAKEVICH

Ekaterina Kenigsberg

Keywords: *Curator, contemporary art, research project, Belarusian State Academy of Arts*

In the late 20th and early 21st centuries curatorial research became the leading strategy of curatorial activity in Belarus. Let's consider two projects of the young Belarusian curator Alena Rusakevich. A. Rusakevich's curatorial research project "The Book O. (2016-2017) was totally different from the usual exhibition projects of contemporary art. The original idea was to hold a series of home get -togethers – one-day exhibitions of artists. As participants, the curator chose young artists with their own studio flats: the graphic artist Fedor Shurmelev, the sculptor Pavel Hrabennikau, and the scenographers Siarhei Ashukha and Ekaterina Shimanovich. The intended audience was limited from the outset to a small number of invited artists and curators. The aim of the project was to explore the artist's environment, often hidden away from prying eyes. According to the curator, "It is here that the romanticized image of a genius, whose life is made up of creative impulses and the search for inspiration, is harmoniously complemented by the image of the artist who comes home in the evening and warms up some soup. And because an artist's flat often serves as their studio, unfinished or previously not exhibited works, studies, sketches, working tools and materials can be seen here" [Rusakevich]. When the idea of the project was discussed in detail, the curatorial concept was transformed and expanded. The main goal was to intensify the process of communication between curators and artists, and the tasks were to discuss creative issues and create a collective work of art at each meeting[1].

The first meeting of the curatorial project "The Book O." took place in mid-December 2016 in the studio flat of Fedor Shurmelev. The flat is clearly divided into a small private room area and an extensive graphic studio, combining several rooms in a redesigned space. The new multi-storey new block of flats is located on the border of the old Minsk district – Grushevka, which historically appeared as a railway workers' settlement, serving the needs of Moscow-Brest and Libau-Romny railways. The block of flats was not fully occupied yet, there were active repair works, the lift was lined with plywood inside for the convenience of goods transportation. The logical theme of the meeting was "Moving House". It was decided to abandon the original idea of painting the temporary walls of the lift in favour of creating a wall of slogans in the workshop – serious and humorous wishes to the owner of the flat. The second spontaneous collective work of art was a kind of lubok poster with drawings and wishes by its authors.

The second meeting took place at the end of December 2016 in the studio flat of the scenographers Siarhei Ashukha and Ekaterina Shimanovich. The owners, like true theatre artists, turned one of the rooms into a nostalgic New Year's Eve space: a real Christmas tree, a long table with New Year's decorations, lighted garlands, and the invariable screening of "The Irony of Fate, or Enjoy your Bath!" New Year's Eve is associated with carnival, so we used family heirlooms of one of the guests: the Snow Maiden dress from the 1960s suited the project curator, and the bear mask, dating back to the early 1970s, suited the flat hostess. The hat and beard of Father Christmas, which had a shorter history, was worn by the sculptor Pavel Hrabennikau. The guests and hosts somehow put a New Year's touch to their costumes. The obligatory discussion of plans for the future culminated in the collective creation of an art calendar for 2017. The third meeting of the project took place in February 2017 at the sculptor Pavel Hrabennikau's home. The home get-together had the character of a discussion

1 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, p. 17–19.

about current applied problems of contemporary art and curatorial work.

The curator Alena Rusakevich decided on the need of creating the project documentation. To this end, in addition to the obligatory photo shoots, at each meeting, entries were created in "The Book of O." – the album that is both a work of art, as it contains the artists' works – quick studies and sketches – and the documentation of the project, as the meetings are recorded, gives serious and ironic answers to the curator's questions are given, wishes and ideas are written down in it.

According to the Russian architect and curator Sergei Sitar, "contemporary art is the translation of communication into another format" [Walter Benjamin's Christmas Tree, p. 44]. A. Rusakevich's ongoing curatorial project "The Book of O." can be considered a movement of the wheel of meanings spun together by curators and artists who create joint works of art, pose ever more questions and formulate collective answers to them.[2]

Alena Rusakevich's exhibition project "Elements of Thought" (2018) presented an original curatorial statement based on a collective visual diary, compiled from artists' personal experiences. As we know from philosophy, an element is a part that makes up a whole together with analogous or similar parts. In the context of the exhibition, the elements are the curatorial and artistic practices. The thought is the result of a process of multiform thinking inherent in human beings. The outcome of an artist's thinking can be a creative work; the outcome of a curator's thinking can be an idea leading to the integration of creative works into a single project.

The idea of the curator Alena Rusakevich was to create a coherent project statement from the artists' works revealing different aspects of their private lives. It is not an easy task for a young curator to form a generalized narrative from mosaic fragments of personal stories, present the (un)ordinariness of the artist's existence as an artistic act, publicly deconstruct the processes of creative consciousness and creation. "The curator, refusing to reduce their task to the selection of artistic artefacts and their arrangement in the exhibition space, should now – as is inherent to any initiator of a group research work – set its theme and ultimate goals, define the conditions and character of their realization. To put it simply, when dealing with procedural and dematerialized art, the curator has to come up with and conceptualize a certain idea, a working principle, which will entice artists to create special projects as part of the general work in progress," arguesViktor Miziano.[3]

In May 2017. Alena Rusakevich invited a group of artists with whom she had already collaborated and whom she wanted to see in the new project to keep a creative diary over the summer. The artists were completely free to choose the means, techniques and ways of keeping the diary. When they met in autumn 2017, it turned out that not all of the artists had taken the curator's suggestion into account, and as a result, the project called "Elements of Thought" and presented in April 2018 at the BSAA's "Kodex" exhibition hall included only the works by Taras Kuchynski-Paravy and Ekaterina Kenigsberg created in accordance with the curator's original idea. Somewhat later, now in 2018, Ekaterina Kristopik also made her own diary. It is ideal for every curator if all works are made specifically for their project. But this is a very rare case, and Alena Rusakevich chose previously not exhibited works by Sergei Andrushkevich, Siarhei Ashukha, Elena Verstak, Igor Kaschkurjewitsch, Viktor Makurin, Igor Savchenko, Valeriy Slauk, Ilya Pilatovich and Karina Shaytor for the project.

Due to the peculiarities of the "Kodex" exhibition hall at the Belarusian State Academy of Arts with its high ceilings, huge windows and fixed partitions, part of the exhibition was designed as an "exhibition within an exhibition". The artist was allotted a space which was limited on three sides (two partition walls against each other and a wall with a window at the end) and opened on the fourth side into the hall where the artist's personal exhibition was formed.

Igor Kaschkurjewitsch's block showed his works from the series "The Blue Notebook" (2000-2002). Large-format graphic sheets expressively covered with writing on one side were mounted on the walls, while those covered with writing on both sides were hung diagonally, forming the boundary of the exhibition. The blue notebook, which gave the series its name, was laid out on a high podium. The blue-covered A4 notebook was originally a bound

2 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, p. 202-205.
3 Miziano, Five Lectures, 2015, p. 47.

printout of the second edition of Knut Böser's screenplay "Marga Engel gibt nicht auf" ("Marga Engel Does Not Give Up"), based on which a successful comedy series was made in Germany. Each sheet at the top contained the title of the screenplay, the date – 04.08.2000 – and the text in German. Igor Kaschkurjewitsch turned the notebook over and used the back, blank side of the sheets for reflections, sketches, ideas, etc. In many of the captions, handwritten by Igor Kaschkurjewitsch, there are stresses – a kind of marker of the artist's early years in Berlin, indicator of his difficulties in communicating in a German-speaking environment. Artists' sketchbooks do not often make it into exhibitions, and Igor Kaschkurjewitsch's "The Blue Notebook" became one of the points of attraction in the exhibition.

The next "exhibition within an exhibition" was Taras Kuchynski-Paravy's section under the general title "Two Months with My Son". Three installations were made by the author during the two summer months of 2017 that he spent with his three-year-old son. The original handmade pieces created as an answer to his son's question about becoming heroes represented detailed and richly illustrated chapters of the gamebook "A Dragon Slayer" invented by the author. Only three of these were included in the exhibition: Chapter 8 was a set of wooden hoops and sticks for playing hoopla and Chapter 11 was a set of wooden objects for playing kubb (a Swedish lawn game). The third installation – a tinted, geometrically ruled wooden board with specially selected pebbles placed in the recesses of the board to play pirate checkers of Fanorona – gave the project its name. The daily joint work on creating the game, composing the rules, making the tools of the game, acquiring and developing the qualities of a hero, fascinating the child with fantastic and real worlds, and learning new things together with his father – these were the meanings behind the art project.

Ekaterina Kenigsberg's "exhibition within an exhibition' was called "The Board of Phenomena". Taking the curator's stipulation literally, the author created a new work each day, which represented a collage on a slightly yellowish sheet of watercolour paper. Each of the works is an ironic or serious documentation of an important or unimportant event of the day. A number of the sheets are a visualization of the quotations from the dreams told by her friends, the words of a five-year-old boy, a literal illustration of what happened. All 67 works in the series, marked on the back with the date and serial number, are stored in a linen-lined elongated cardboard box. The top lid of the box bears the inscription "The Board of Phenomena" assembled in assorted Latin letters; the name of the author and the dates of creating the series are glued in the same way on the end face. The names of all the works are handwritten in pencil on the free surfaces of the box. In the exhibition, most of the sheets were hung on thin ropes on two opposite walls. Secured by small wooden clothes pegs, the works swayed at the slightest movement of a person or in the breeze from a window or door. In the middle, on a large podium beneath a transparent foil, individual works were laid out. In the centre of the podium there was a box containing part of the sheets. The series "The Board of Phenomena" was a great success with the public viewing the collages and discussing the implicit and explicit meanings of the works.

Igor Savchenko presented two textual works. "A Compulsive Melody" (2016) is a complex formal description of a six-month experiment in investigating the mental view of a compulsive melody reported by Frigyes Váradi of the University of Zurich at the Sixth International Conference on Cybernetics at the Massachusetts Institute of Technology and published at the same institute in 1963. The text is accompanied by hand-drawn diagrams [Savchenko]. "The Green Wave" (2016) is the paper "On 'the Routes of Cognition' and the Ways to Optimise Them" by Reinhard Krohn of the Massachusetts Institute of Technology at the same conference [Savchenko]. Both texts are close stylistically and compositionally: the first paragraph, written in accessible language, is a description of the background that became the reason for the research. The main part is full of philosophical reasoning and technical details, hardly perceptible to readers/viewers who do not have a deep knowledge of cybernetics and mathematical modelling. It is the author's conceptual game where there should be no doubts about the authenticity of the texts and the reality of the scientists who published them. But the plots, the logical construction of the phrases, the author's signature at the end of each text, the framing make one think not about the proposed reality created by the artist, but about the sources of inspiration that determine Igor Savchenko's creative strategies.

Valeriy Slauk's quick drawings, which he constantly,

almost automatically, makes on a variety of sometimes even unsuitable surfaces, have long been a collector's item for his colleagues. The exhibition featured ballpoint and gel pen sketches on A4 sheets of writing paper and on cardboard folders created by Valeriy Slauk between 2014 and 2018. The works have no common theme, the artist usually comes up with a plot spontaneously, as an ironic reaction to what is happening, as a reflection of what he has read, as a character sketch for the etchings or illustrations he is working on.

Siarhei Ashukha's black and white painting "No 11" (2018) was remotely reminiscent of a medieval building. Two untitled works (2018, photography, author's technique) by Ekaterina Kenigsberg – a blurred riverbank, as if floating in a golden haze, and a boat in one, and a hand in the upward rushing water, also against a golden background, in the other – sparked heated discussions among professional photographers about shooting and printing techniques. Visitors unsuccessfully attempted to photograph the works or take selfies against their background; due to the author's technique the works strongly glittered and reflected everyone who approached them. Karina Shaitor exhibited "1, 2, 3" (2017, ceramics, underglaze painting), three round, square-framed, small nudes in dark red and white tones. "Wednesday" (2018), a symbolic image of a female figure wrapped in threads and located on the border of the light and the dark, by Elena Verstak was understood as powerlessness in the face of circumstances.[4]

The projects implemented by the young curator Alena Rusakevich demonstrated a wide range of interests, creative approaches, unique thinking of the new generation, the ability to perceive novelty without denying the achievements of the past, and the knowledge of how to respond to the challenges of the time. The exhibitions contributed to the unification and interaction of creative young people, support of young talents, activation of interest in the historical and cultural past of the country, development of contemporary trends in curatorial and artistic practices.

REFERENCES:

- Walter Benjamin's Christmas Tree: An Exhibition Catalogue. Moscow: Grundrisse Publishers Ltd, 2014.
- Savchenko, Igor: http://igor-savchenko.com/frames.htm (19/04/2022)
- Kenigsberg, E. Curatorial Activity in the Contemporary Fine Art of Belarus in the Late 20th – Early 21st Centuries. Minsk: BSAA, 2020.
- Miziano, V. Five Lectures on Curating. Moscow: Ad Marginem Press, 2015.
- Rusakevich, A. Curatorial Project "The Book of O: http://allaprima.by/кураторский-проект-книга-о/. (19/04/2022)

4 Kenigsberg, Curatorial Activity, 2020, pp. 165–172.